



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის სახელწოდება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა Teacher Training Educational Program
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი /კვალიფიკაცია	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ემყარება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.</p> <p>პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 1 აკადემიურ წელს ანუ 2 სემესტრს და მოიცავს 60 კრედიტს;</p> <p>1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს;</p> <p>კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.</p>
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო ფეტვიანელი- ფილოლოგი, მაგისტრთან გათანაბრებული; ასოცირებული პროფესორი.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოამზადოს საქართველოს განათლების მოქმედი კანონმდებლობის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელიც იქნება</p> <ul style="list-style-type: none"> • კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების, • მოქალაქეობრივი შეგნებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, • ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, • ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, • იქნება კონკურენტუნარიანი, სიახლეების მიმღები და დამწერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში.
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ან შესაბამისი სახელოვნებო/სასპორტო/სამხედრო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით იმ საგნის გამოცდა, რომელიც განისაზღვრება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულ(ებ)ის შესაბამისად)</p> <p>პროგრამის გავლის საფუძველი: საგნის გამოცდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარების გარეშე, სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თუ იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და მას დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>სწავლების შედეგი 1. გეგმავს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულ მოკლევადიან და გრძელვადიან სასწავლო პროცესს; გეგმავს არაფორმალურ სწავლებასა და საქმიანობას მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით; სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლის პრიორიტეტებს, მოსწავლეთა საჭიროებებს.</p> <p>სწავლების შედეგი 2. იყენებს პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;</p> <p>სწავლების შედეგი 3. ახდენს დემოკრატიული ფასეულობების, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში პიროვნების სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში;</p> <p>სწავლების შედეგი 4. ქმნის შეფასების სქემებსა და რუბრიკებს თითოეული მოსწავლის მიღწევისა და პროგრესის ობიექტურად შესაფასებლად. ეფექტიანად იყენებს განმავითარებელი შეფასების შედეგებს მოსწავლის მიღწევისა და პროგრესისათვის</p> <p>სწავლების შედეგი 5. იძიებს, შეარჩევს, ქმნის და იყენებს დამხმარე რესურსებს და ციფრულ ტექნოლოგიებს მოსწავლეების</p>

	<p>საჭიროების გათვალისწინებით შედეგების გასაუმჯობესებლად;</p> <p>სწავლების შედეგი 6. სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების მიზნით იყენებს ახალ სტრატეგიულ მიდგომებს, ეთიკური ქცევის ნორმებისადმი ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას. მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ქმნის ეფექტური კომუნიკაციისა და საქმიანი თანამშრომლობისათვის შესაბამის გარემოს.</p> <p>სწავლების შედეგი 7. იყენებს განათლებაში ახალ მეცნიერულ ცოდნას, ტენდენციებს და თანამედროვე კვლევების შედეგებს უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით; გეგმავს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას და შედეგების საფუძველზე აანალიზებს პედაგოგიური საქმიანობას განათლების სისტემის საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით;</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).</p> <p>სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს მასწავლებლის კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიღწევას.</p> <p>პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რეალიზაცია ხდება სასწავლო კურსებში ლექციების (ინტერაქტიული), ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით, ასევე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით, აგრეთვე პრაქტიკის ობიექტზე სამუშაო პროცესში მონაწილეობის მეშვეობით.</p> <p>ლექციის დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდოლოგიური ინფორმაციით და ტერმინოლოგიით. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე.</p> <p>ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება, პრაქტიკული აპლიკაცია. სწავლებისა და სწავლის პროცესში გამოიყენება როგორც ვერბალური, ისე წერითი, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური/წყვილში მუშაობის მეთოდები; დავალებათა შესასრულებლად და საკითხების ვიზუალიზაციისათვის შემოქმედებითად იქნება გამოყენებული <u>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, წიგნზე მუშაობის მეთოდი; აქტიურად იქნება გამოყენებული ისეთი აქტივობები, როგორცაა: დისკუსია/დებატების მეთოდი; შემთხვევის ანალიზის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; გონებრივი იერიშის მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი</u></p> <p>კურსის განმახორციელებელი პერსონალი შეიძლება იყენებდეს აღნიშნულ ან/და ნებისმიერ სხვა მეთოდს ამა თუ იმ კონკრეტული სასწავლო ამოცანის შესასრულებლად.</p> <p>ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა - უფრო აქტიური, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას - სტუდენტები ეჩვევიან ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას; მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ</p>

	<p>გამოყენებას და მოდიულებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნებისა და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას. კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო კურსით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რაც დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p>
<p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით და მოიცავს შეფასების სავალდებულო კომპონენტებს-შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p> <p>შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული კურსის სილაბუსში და უნდა ეცნობოს სტუდენტს სემესტრის დასაწყისში.</p> <p>შუალედური შეფასების ხვედრითი წილი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 70%-ს, ხოლო დასკვნითი შეფასების არანაკლებ - 30%-ს. თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილს ადგენს სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელი; დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა სტუდენტისთვის სავალდებულოა.</p> <p>სტუდენტის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შეადგენს შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულის 30%-50%-ს, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად.</p> <p>დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად.</p> <p>შეფასების თითოეული კომპონენტი (დასკვნითი და შუალედური) მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, რომელსაც სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ირჩევს ინდივიდუალურად.</p> <p>შეფასების მეთოდები -</p> <p>სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები: ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესე (და სხვა წერითი დავალებები (მაგ. კურიკულუმის მიხედვით საგანმანათლებლო გეგმის შედგენა, აქტივობების შემუშავება და სხვ.), დემონსტრირება (სტუდენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსი; რეფლექსური ჩანაწერები; თვითრეფლექსია; დაკვირვების და შეფასების ჩანაწერები;), ვერბალური მოხსენება/პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოგონა, პრაქტიკის</p>

პორტფოლიო; პრაქტიკის კვლევის ანგარიში; შემთხვევის („ქეისის“) განხილვა /ანალიზი; საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების გეგმა; საბაკალავრო ნაშრომი; სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა;

(უმალესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი).

შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რითაც დგინდება სწავლის შედეგის მიღწევის დონე.

სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება **F-უარყოფითი შეფასება**.

დადებითი შეფასება	
A - ფრიადი	91-100 ქულა
B - ძალიან კარგი	81-90 ქულა
C - კარგი	71-80 ქულა
D - დამაკმაყოფილებელი	61-70 ქულა
E - საკმარისი	51-60 ქულა
უარყოფითი შეფასება	
FX - ვერ ჩააბარა	41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (ამასთან, დამატებითი გამოცდა შეიძლება დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში).
F - ჩაიჭრა	40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და ზსუ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლებში შესაბამისი საფეხურის/საფეხურების და საგნის/საგნების მასწავლებლად, ასევე, ზოგადი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებში ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით.
სწავლის გაგრძელების საშუალება	მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება არ იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას.
პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; • კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; • კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; • ლაბორატორია, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.</p>
პროგრამის ადამიანური რესურსი	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი. (სრული ინფორმაცია პროგრამის განმარტებული პირ(ებ)ის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში)

პროგრამის სტრუქტურა

<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის დისციპლინებს (პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული) - 30 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო)¹; 2. არჩევითი სავალდებულო ციკლის დისციპლინები - 2 კრედიტი 3. საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინებს (საგნობრივი მეთოდის/მეთოდების მოდული) - 18 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო); 4. სასკოლო პრაქტიკას - 10 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო); <p>პედაგოგიური პრაქტიკა: სასწავლო პედაგოგიური პრაქტიკა უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. პრაქტიკის მიზანია სტუდენტის მომზადება წარმართოს სამი მიმართულებით - სასწავლო/საგაკვეთილო პროცესი, სასწავლო/აღმზრდელობითი</p>
--

პროცესი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესი. შესაბამისად, პედაგოგიური პრაქტიკის მიზანია სტუდენტმა პრაქტიკაში (გაკვეთილზე) გამოიყენოს სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა. სტუდენტები პრაქტიკაში გამოიყენებენ და დაადასტურებენ მეთოდიკური სასწავლო კურსებზე მიღებულ ცოდნას (დაგეგმავენ და ჩაატარებენ გაკვეთილებს ერთი თემატური ერთეულის ფარგლებში, შექმნიან ელექტრონულ პორტფოლიოებს და დაწერენ პრაქტიკის ანგარიშს).

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹							სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		სემესტრი					საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				I	II							
1	TTEP07		პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის დისციპლინები - 30 კრედიტი									
1.1	TTEP07.1	წინაპირობის გარეშე	სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები	5/125							57	68
1.2	TTEP07.2	წინაპირობის გარეშე	პედაგოგიური კვლევა	4/100							64	36

¹ ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

² დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

³ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო

⁴ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		
				I წელი								საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	
				სემესტრი										
				I	II									
1.3	TTEP07.3	წინაპირობის გარეშე	პიროვნული განვითარებისა და სწავლების თეორიები		4/100							49	51	
1.4	TTEP07.4	წინაპირობის გარეშე	დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება მოსწავლეებში		3/75							45	30	
1.5.	TTEP07.5	წინაპირობის გარეშე	საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი სასწავლო პროცესში	3/75								49	26	
1.6	TTEP07.6	წინაპირობის გარეშე	დისციპლინა, საკლასო მენეჯმენტი და გარემო	4/100								49	51	
1.6	TTEP07.6	წინაპირობის გარეშე	ზოგადი განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები		3/75							34	66	
1.7	TTEP07.7	TTEP01.3	ინკლუზიური განათლება		4/100							49	51	
არჩევითი სავალდებულო კურსები														
2.1	TTEP07.8	წინაპირობის გარეშე	მედიაწიგნიერება	2/50								34	16	
2.2	TTEP07.9	წინაპირობის გარეშე	განათლება მდგრადი განვითარებისთვის										30	20
2.3	TTEP07.10	წინაპირობის გარეშე	სააღმზრდელო პროგრამის როლი მოსწავლის ფორმირებაში										30	20
უცხოური ენის სწავლების მოდული (ინგლისური ენა)														

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი							სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი							საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი								
				I	II							
			საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინები - 18 კრედიტი									
3.1	TTEP07.10	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 1	6/150							64	86
3.2	TTEP07.11	ინგლისური ენის სწავლების დაგეგმვა და შეფასება; ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 1	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 2		6/150						64	86
3.3	TTEP07.12	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის სწავლების დაგეგმვა და შეფასება	6/150							64	86
საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკი												
ისტორიის სწავლების მოდული - 18 კრედიტი												
4.1	TTEP07.13	წინაპირობის გარეშე	ისტორიის სწავლების ზოგადი მეთოდოლოგია	6/150							64	86
4.2	TTEP07.14	წინაპირობის	ისტორიის სწავლების მეთოდიკა-1	6/150							64	86

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი								საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი									
				I	II								
		მეთოდика 1											
საბუნებისმეტყველო ბლოკი													
7.1	TTEP07.20	წინაპირობის გარეშე	სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შეფასების მეთოდები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას (სავალდებულოა სამივე მიმართულებისთვის)	6/150								64	86
ბიოლოგიის სწავლების მოდული (საბაზო/საშუალო საფეხური)													
			საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინები - 18 კრედიტი										
7.2	TTEP07.21	წინაპირობის გარეშე	ბიოლოგიის სწავლების ზოგადი მეთოდика	6/150								64	86
7.3	TTEP07.22	სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შეფასების მეთოდები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების	პრობლემაზე და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები ბიოლოგიაში		6/150							64	86

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი								საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი									
				I	II								
		სწავლებისას ბიოლოგიის სწავლების ზოგადი მეთოდика											
ქიმიის სწავლების მოდული (საბაზო/საშუალო საფეხური)													
			საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინები - 18 კრედიტი										
8.1	TTEP07.23	წინაპირობის გარეშე	ქიმიის სწავლების თანამედროვე მეთოდика 1	6/150								64	86
8.2	TTEP07.24	სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შეფასების მეთოდები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას; ქიმიის სწავლების თანამედროვე მეთოდика 1	ქიმიის სწავლების თანამედროვე მეთოდика 2 (სწავლება ამოცანებით)		6/150							64	86

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი								საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი									
				I	II								
მუსიკის სწავლების მოდული (დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხური)													
			საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინები - 18 კრედიტი										
9.1	TTEP07.25	წინაპირობის გარეშე	მუსიკის სწავლების მეთოდიკა 1	6/150								64	86
9.2	TTEP07.26	მუსიკის სწავლების მეთოდიკა 1	მუსიკის სწავლების მეთოდიკა 2		6/150							64	86
9.3	TTEP07.27	მუსიკის სწავლების მეთოდიკა 1	მუსიკის სწავლების პრაქტიკული მეთოდიკა		6/150							60	90
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მოდული													
			საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინები - 18 კრედიტი										
10.1	TTEP07.28	წინაპირობის გარეშე	ფიზიკური აღზრდის სწავლების თეორია და მეთოდიკა	9/225								94	131
10.2	TTEP07.29	ფიზიკური აღზრდის სწავლების	სპორტული სახეობების სწავლების მეთოდიკა		9/225							94	131

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი								საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი									
				I	II								
		თეორია და მეთოდოლოგია											
11	TTEP07.30		პედაგოგიური პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი		10/250							155	95
სემესტრში													
წელიწადში				60									

